



N 21/3801
25/07/2022

3801-21-2-202207251610



შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეს“

მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა N6 (ნაკვეთი 42/169),
კორპუსი 1, სართული 1, ბინა N6

ელ. ფოსტა: g.margebadze@hydroinvest.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, 2022 წლის 15 ივლისს წარმოდგენილი №3273 განცხადება, რომელიც ეხება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდინარე ცხენისწყალზე 21,85 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ცხენისწყალი 1 ჰესის) მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 2) წარმოდგენილი ცხრილი „გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში ჩართულ ექსპერტთა სია“ არ არის ხელმოწერილი გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში მონაწილე ზოგიერთი პირის მიერ;
- გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ფიზიკური პირისთვის – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი, რაც წარმოდგენილი არ არის;
- გზშ-ის ანგარიშის დანართი „საპროექტო ნახაზები“ წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე;

- წარმოდგენილი shp ფაილები მოიცავს ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივ ფენას (ბუფერს). არ არის წარმოდგენილი, ერთმანეთისგან გამოყოფილი და მითითებული ჰესის ინფრასტრუქტურული ერთეულები, ხოლო ობიექტების ადგილმდებარეობები და ფართობი თანხვედრაში უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში მოცემულ ინფორმაციასთან;
- shp ფაილებში უნდა აისახოს სათავე ნაგებობასთან შეგუბებული წყლის შეტბორვის კონტური, ასევე მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის კონტურები (შეტბორვის კონტურების ნიშნულები შესაბამისობაში უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციასთან);
- წარმოდგენილი არ არის დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების სქემატური ნახაზები და shp ფაილები;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, პროექტი ითვალისწინებს მისასვლელი გზების მოწყობას და არსებული გზების ზოგიერთი უბნის რეაბილიტაციას. დაზუსტებული უნდა იქნეს, კონკრეტულად რა ადგილას მოხდება ახალი გზების მოწყობა, ასევე რა მონაკვეთებზე იგეგმება არსებული გზების რეაბილიტაცია. გარდა ამისა, წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია მოსაწყობი გზების სიგრძის, სიგანის და სხვა პარამეტრების შესახებ (შესაბამისი სქემატური ნახაზებითა და shp ფაილებით), ამასთან განხილული და დასაბუთებული უნდა იყოს მისასვლელი გზების მოწყობის ალტერნატივები და მისასვლელი გზების დერეფნები ასახული უნდა იყოს shp ფაილებსა და სქემატურ ნახაზებში;
- shp ფაილების მიხედვით, ფუჭი ქანების სანაყაროებისთვის შერჩეული ტერიტორიები ხვდება სახელმწიფო ტყის ფარგლებში. გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობა, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს. გარდა ამისა, სანაყაროებისა და სამშენებლო ბანაკებისთვის შერჩეული ტერიტორიები მდებარეობს მდ. ცხენისწყლის წყალდაცვით ზოლში, შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იქნეს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 დეკემბრის დადგენილების მოთხოვნები შესაბამისად, ინფრასტრუქტურის დაგეგმვა უნდა მოხდეს რეგმანეტის შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ სამშენებლო ბანაკებზე ტექნიკური მიზნებისთვის წყალაღება დაგეგმილია მდ. ცხენისწყლიდან, ასევე სამშენებლო ბანაკებზე გათვალისწინებულია ადგილობრივი წყაროს წყლების გამოყენება. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალაღების კონკრეტული ადგილების (წერტილების) შესახებ ინფორმაცია, GPS კოორდინატების მითითებით;
- წარმოდგენილი არ არის სამშენებლო ბანაკების ელექტროენერჯით მომარაგების საკითხები. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა წარმოდგენილი უნდა იქნეს ეგზ-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია (ტიპი, პარამეტრები, სქემატური ნახაზები, shp ფაილები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება და ა.შ.);

- გზმ-ის ანგარიშის დანართში „რეაგირება სკოპინგის დასკვნაზე“ დაშვებულია შეცდომები, კერძოდ: ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მითითებულია, რომ ინფორმაცია წარმოდგენილია 3.4.5.3 3.4.5 3.4.5.7. და 3.4.5.8. პარაგრაფებში, თუმცა აღნიშნული პარაგრაფები არ არის მოცემული გზმ-ის ანგარიშში. გარდა ამისა, ცხრილში ზოგიერთ საკითხზე მითითებულია, რომ გათვალისწინებულია კონკრეტულ თავებში, თუმცა აღნიშნულ თავებში შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის;
- გზმ-ის ანგარიშის სარჩევში (ტომი II) წარმოდგენილი ზოგიერთი გვერდი და ქვეთავი არ ემთხვევა ერთმანეთს და შესასწორებელია;
- გზმ-ის ანგარიშის III ტომში მოცემული რუკები და სქემატური ნახაზები წარმოდგენილია დაბალი გარჩევადობით და არ იკითხება;
- გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება 3 სამშენებლო ბანაკი, თუმცა shp ფაილებში ასახულია მხოლოდ ორი სამშენებლო ბანაკი;
- გზმ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ ნიადაგის დასაწყობება მოხდება რამდენიმე ადგილზე, თუმცა shp ფაილებში მითითებულია მხოლოდ ერთ ადგილი;
- გზმ-ის ანგარიშში, ნიადაგის მოხსნასთან დაკავშირებით, აღნიშნულია რომ „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა შესაძლებელი იქნება მილსადენის დერეფნის და სხვა სანაყაროების დაახლოებით 10%-ზე, რაც ფართობულად შეადგენს დაახლოებით 10000 მ²-ს. მოსახსნელი ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე - 10 სმ. მოსახსნელი ნაყოფიერი ფენის მოცულობა - 1000 მ³. აქედან გამომდინარე მოსახსნელი ნაყოფიერი ფენის მიახლოებითი მოცულობა იქნება ≈2500 მ³.“ აღნიშნული ინფორმაცია ურთიერთგამომრიცხავია და საჭიროებს დაზუსტებას. გარდა ამისა, დაზუსტებას და დასაბუთებას საჭიროებს ნიადაგის დასაწყობების მეთოდი და დასაწყობების ადგილების ფართობების საკმარისობა მოხსნილი ნიადაგის მოცულობის გათვალისწინებით;
- ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობა ტყის ტერიტორიაზე ხორციელდება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში გათვალისწინებული იყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-4 ნაწილის შენიშვნის, „საქართველოს ტყის კოდექსის“ მე-13 მუხლის, ასევე, „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის 496-ე დადგენილების მე-13 მუხლის მოთხოვნები. ტყის სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, საჭიროა, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია: რატომ არის საჭირო ტყის სტატუსის შეწყვეტა საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე; რატომ არის შეუძლებელი აღნიშნული საქმიანობის განხორციელება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში; საჭიროა, წარმოდგენილ იქნას ეკონომიკური მიზანშეწონილობის და სატყეო ფართობზე მოსაწყობი ინფრასტრუქტურის შესახებ დეტალური ინფორმაცია; გზმ-ის

ანგარიშში წარმოდგენილი ალტერნატივების შესწავლის ნაწილში ყურადღება უნდა გამახვილდეს ტყის კომპონენტზე განსაკუთრებით (მათ შორის, დასაბუთდეს შემოთავაზებული ადგილის უალტერნატივობა და შესაძლებლობის შემთხვევაში, შემოთავაზებულ იქნას სხვა, ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც არ მოიცავს ტყის ტერიტორიას);

- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე მდ. ზესხოზე დაგეგმილია სახიდე გადასასვლელის მშენებლობა, რომლის სიგრძე მითითებული არ არის;
- სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილ საკითხთან დაკავშირებით „შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგებისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში“ რეაგირების ცხრილში მითითებულია, რომ შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია 4.1 და 3.17 პარაგრაფებში. 3.17 პარაგრაფში მოცემულია თავი „ნარჩენი ზემოქმედება“, ხოლო 4.1 პარაგრაფში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული და დასაბუთებული ზემოაღნიშნული საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშში ჰიდროელექტროსადგურის სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მოწყობასთან მიმართებით მოცემული დასკვნა, რომ მის მოწყობა-ექსპლუატაციას არ ექნება მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე, საჭიროებს დასაბუთებას და ალტერნატივის (ასევე დასაბუთებულად) წარმოადგენას.

გარემოს ეროვნული სააგენტო, კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

